საქართველოს
საკონსტიტუციო სასამართლოს
საორგანიზაციო სამსახური

№ 01/01-347 „23" 09 2013 წ.

"საქართველოს რეფორმების ასოციაციის
(GRASS)" დირექტორს,
სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

თქვენი 2013 წლის 9 სექტემბრის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მოპასუხე უფლებამოსილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მთლიანად ან ნაწილობრივ ცნოს სარჩელი. მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას და არ წარმოშობს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო არ ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკურ ანალიზს.

თქვენი განცხადების შესაბამისად, მოკვლეულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკა და დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციური სარჩელი სცნო შემდეგ საქმეებზე:

<u>გადაწყვეტილებები:</u>

1. 11.06. 2013 - №534

საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

2. 14.05.2013 – № 516–542

საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

3. 10.04.2013 – № 524

საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველო, ბათუმი, მ. აბაშიძის ქ. №16-18.
ტელ. (+995422) 270099; ფაქსი (+995422) 276164

<u>არსებითად განსახილველი საქმეები (სარჩელის ნაწილობრივ ცნობა)</u>

1. №531 - ისრაელის მოქალაქეები– თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი წაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
2. №532-533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საქმეებზე მიღებული სასამართლო აქტები (გადაწყვეტილებები, საოქმო ჩანაწერები) იხილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://constcourt.ge

პატივისცემით,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
საორგანიზაციო სამსახურის უფროსი

ლია ბაგაშვილი